სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU

№ 5005224924

29/08/2024

5005224924

სსიპ „ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის საგარეჯოს
მუნიციპალიტეტის სოფელ თოხლიაურის საჯარო
სკოლა"-ს დირექტორს ქბნ ლალი აბესაძეს

ქალბატონო ლალი,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი N000058350 მომართვის (ბიუროს 2024 წლის 9 აგვისტოს რეგისტრაციის N1006397824) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N005932724 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 07 ფურცლად;

პატივისცემით,

მერაბ მურღულია
ბიუროს უფროსის მოადგილე

თბილისი, 0162, ი. ჭავჭავაძის გამზ. 84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის გამზ. 2ª
ბათუმი, 6000 პ. მელიქიშვილის ქუჩა 102

84 Chavchavadze Ave., Tbilisi 0162
2ª I. Chavchavadze Ave., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili Str., Batumi 6000

+995 32 2 258 484 | info@expertiza.gov.ge | expertiza.gov.ge

5005224924

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____

(ხელმოწერა) ბ.ა.

თარიღი 05.09.2024

NATIONAL FORENSICS BUREAU

005932724

ექსპერტის დასკვნა № 005932724

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი:

ორგანიზაცია: სსიპ ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ თოხლიაურის საჯარო სკოლა

თანამდებობა: დირექტორი

მისამართი:

სახელი და გვარი: ლალი აბესაძე

საფუძველი: მომართვა

შემსრულებელი ექსპერტები:

დავით სტურუა / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს მოწვეული ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 13 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

მოგახსენებთ, რომ სსიპ - ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ თოხლიაურის საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული საქვაბეზე მიდგმული შენობა და სველი წერტილი (საპირფარეშო) (ს/კ: 55.10.55.113) მდებარეობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ თოხლიაურში, აღნიშნული შენობები არის ავარიულ მდგომარეობაში, რის გამოც საჭიროებს დემონტაჟს.

საქვაბეზე მიდგმული შენობის და სველი წერტილის (საპირფარეშოს) დემონტაჟისათვის საჭირო პროცედურების კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვის განხორციელების მიზნით, გთხოვთ, მოახდინოთ აღნიშნული შენობების შეფასება რათა დასკვნის საფუძველზე მოხდეს შენობების დემონტაჟი.

შემოსვლის თარიღი: 09/08/2024 წ

გასვლის თარიღი: 29/08/2024 წ

დასკვნა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ თოხლიაურის საჯარო სკოლის ტერიტორიაზე განთავსებული საქვაბის შენობაზე მიდგმული შენობის და ძველი სველი წერტილის (საპირფარეშოს) შენობების (ს/კ: 55.10.55.113) ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, შენობების აღდგენა-რეაბილიტაცია არარენტაბელურია და საჭიროა მათი გადაუდებელი დემონტაჟი, სპეციალურად დამუშავებული პროექტის მიხედვით.

დავით სტურუა

გამოკვლევა

2024 წლის 23 აგვისტოს განხორციელდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ თოხლიაურის საჯარო სკოლის ტერიტორიაზე

მდებარე საქვაბის შენობაზე მიდგმული შენობის და ძველი სველი წერტილის (საპირფარეშოს) შენობების (ს/კ: 55.10.55.113) ვიზუალური გამოკვლევა, მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის მიზნით.

სკოლის ადმინისტაციის გადმოცემით, საქვაბის შენობაზე მიდგმული შენობა დაახლოებით აშენდა გასული საუკუნის 70-იან წლებში, რომელიც გეგმაში იყო სწორკუთხა ფორმის, რომელიც დღეის მდგომარეობით თითქმის სრულად დემონტირებულია, დარჩენილია კედლების და გადახურვის მცირე ნაწილი, საიდანაც დგინდება, რომ შენობის მაქსიმალური მიახლოებითი ზომები იყო 6.50x5.00 მ, ხოლო სიმაღლე დაახლოებით h=3.00 მ-ი იყო (იხ. ფოტო 1-:-5). შენობის ადგილზე დღეის მდგომარეობით დარჩენილია ნანგრევები, რომელიც განთავსებულია სკოლის ეზოში და გადაუდებლად საჭიროებს სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარებას, სათანადოდ დამუშავებული პროექტის მიხედვით.

საპირფარშოს ერთ სართულიანი შენობა, გეგმაში სწორკუთხა ფორმისაა, განლაგებული მცირედით დახრილ რელიეფზე, მაქსიმალური მიახლოებითი ზომები 6.00x4.55 მ (იხ. ფოტო 6), შენობის ვერტიკალური მზიდი კონსტრუქციები წარმოდგენილია ქვიშა-ცემენტის დუღაბზე ნაშენი წითელი აგურის წყობით (იხ. ფოტო 7). შენობის მაქსიმალური სიმაღლე h=3.40 მ-ია (სიმაღლე მიწის ზედაპირიდან გადახურვის ფილამდე). სახურავის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს ანაკრები რკ/ბეტონის ღრუტანიანი ფილებით, რომელიც დაფარულია რუბეროიდის ბურულით. შენობა ათეულობით წელია არ ფუნქციონირებს.

ვიზუალური გამოკვლევისას დაფიქსირდა, რომ შენობის კედლების ნაწილი დაშლილი და დეფორმირებულია, ხოლო ნაწილი იმყოფება ჩამოშლისპირა ზღვრულ მდგომარეობაში, დაშლილია აგურის წყობა და სახურავის ბურული, ათეულობით წელია ჩამოდის შიდა ფართში წყალი (იხ. ფოტო 8-:-17), გადახურვის ანაკრებ ფილებზე დაფიქსირებული თეთრი ფერის ლაქები მეტყველებს ბეტონში ცემენტის გამოტუტვაზე, გარკვეულ სტრუქტურულ ცვლილებებზე და სიმტკიცის მაჩვენებლის თანდათანობითი შემცირების პროცესზე (იხ. ფოტო 18-:-21). შენობა სრულად მოუვლელია. მთლიანობაში შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, შენობაზე სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარება არარენტაბელურია და ექვემდებარება დემონტაჟს, სპეციალურად დამუშავებული პროექტის მიხედვით.

ამრიგად, ვიზუალური კვლევით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ თოხლიაურის საჯარო სკოლის ტერიტორიაზე განთავსებული საქვაბის შენობაზე მიდგმული შენობის და ძველი სველი წერტილის (საპირფარეშოს) შენობების (ს/კ: 55.10.55.113) ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, შენობების აღდგენა-რეაბილიტაცია არარენტაბელურია და საჭიროა მათი გადაუდებელი დემონტაჟი, სპეციალურად დამუშავებული პროექტის მიხედვით.

დავით სტურუა

გამოყენებული მასალები

1. წარმოდგენილების მიერ ზეპირსიტყვიერად მოწოდებული ინფორმაცია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. СП-13-102-2003

2. სნწ 3ნ. 01.01-09 "სეისმომედეგი შენებლობა" 3ნ. 01.01-09

3. СНиП 2-03. 01-84* ბეტონისა და რკ/ბეტონის კონსტრუქციები.

4. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხ. და საზ. შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი 1992 წ.

005932724

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3

ფოტო 4

ფოტო 5

ფოტო 6

ფოტო 7



ფოტო 8

ფოტო 9

ფოტო 10

ფოტო 11

ფოტო 12

ფოტო 13

ფოტო 14

ფოტო 15

ფოტო 16

ფოტო 17

ფოტო 18

ფოტო 19

ფოტო 20

ფოტო 21